განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 15 მარტი, 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 18 აპრილი, 2022

თბილისი
2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსები
განათლების საფეხური	მაგისტრატურა (აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0412 ფინანსების მაგისტრი
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	120 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო ხუნდაძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რომან მამულაძე, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო უგრეხელიძე, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ლაცოშვილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზურაბ ჯანხოთელი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მიერ სააკრედიტაციოდ წარდმოგენილი ფინანსების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET-ის) მიერ.

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი, 6 ტრიმესტრი.

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სასწავლო კომპონენტი 105 კრედიტის მოცულობით და კვლევითი კომპონენტი 15 კრედიტის მოცულობით: 108 კრედიტი ეთმობა სავალდებულო სასწავლო კურსებს (სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი კრედიტებიდან 100 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებს. მათ შორისაა პრაქტიკის კომპონენტი „Capstone პროექტი“ 5 კრედიტის მოცულობით), 12 კრედიტი ეთმობა არჩევით სასწავლო კურსებს, ხოლო 15 კრედიტი განკუთვნილია სამაგისტრო ნაშრომისთვის.

პრაქტიკის კომპონენტი გათვალისწიებულია სწავლების მეხუთე ტრიმესტრში, ხოლო სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა - სწავლების ბოლო, მეექვსე ტრიმესტრში.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ანალოგიური პროგრამის გაანალიზების მიზნით გამოყენებულ იქნა Chartered Financial Analyst Institute (CFA Intitute)-ის პროგრამა. პროგრამების სასწავლო გეგმებს შორის არის დაახლოებით 70%-იანი თანხვედრა.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენაა ინგლისური. პროგრამის მიერ მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ფინანსების მაგისტრი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ონლაინ რეჟიმში 2022 წლის 15 მარტს. ონლაინ შეხვედრები ჩატარდა განრიგით განსაზღვრულ ყველა ჯგუფთან, კერძოდ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პრაქტიკის განმახორციელებლებთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

ონლაინ გასაუბრება განხორციელდა ბიბლიოთეკის წარმომადგენელთანაც. გასაუბრების პროცესში გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის ფუნქციონირება და კატალოგის საშუალებით გადამოწმდა რამდენიმე სავალდებულო

ლიტერატურის ბიბლიოთეკაში არსებობის, ხელმისაწვდომობის საკითხი, ასევე, გადამოწმდა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზების არსებობა და მათზე წვდომა.

ონლაინ გასაუბრება ასევე გაიმართა სტუდენტთა საინფორმაციო ბაზაზე პასუხისმგებელ პირთან, გასაუბრების ფარგლებში შეფასდა ბაზის ფუნქციონირების საკითხი, კერძოდ, მოხდა ბაზაში ატვრთული ინფორმაციის, ბაზის შესაძლებლობების შეფასება.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი იყო გარკვეული დამატებითი დოკუმენტაცია, რომელთა მიწოდებაც დაწესებულების მხრიდან განხორციელდა დროულად, ვიზიტის დასრულებამდე გარკვეული დროით ადრე.

გადაიხედა დაწესებულების მიერ ონალაინ ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები და სხვა დამატებითი დოკუმენტები.

გასაუბრებები წარიმართა თანამშრომლობით გარემოში. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ძირითადი მიგნებების გაცნობა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული შეფასებების საფუძვლეზე გამოიკვეთა:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან:

საგანმანათლებლო პროგრამის ქვესტანდარტებთან „1.1 პროგრამის მიზნები“ და „1.2 პროგრამის სწავლის შედეგები“ შესაბამისობის შეფასების პროცესში არ გამოვლენილა საყურადღებო საკითხები, შესაბსამისად, არ გაცემულა რეკომენდაციები და ამდენად ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორივე ქვესტანდარტთან და თავად სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან:

საგანმანათლებლო პროგრამის ქვესტანდარტებთან „2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები“, „2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი“, „2.3 სასწავლო კურსი“, „2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება“, „2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები“ და „2.6 სტუდენტების შეფასება“ შესაბამისობის შეფასების პროცესში გამოვლინდა გარკვეული საყურადღებო საკითხები, კერძოდ, რეკომენდაციები გაცემულია ყველა ქვესტანდარტის ფარგლებში გარდა ქვესტანდარტისა „2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები“. ამდენად, ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო ყველა სხვა ქვესტანდარტთან და თავად სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან:

საგანმანათლებლო პროგრამის ქვესტანდარტებთან „3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება“ და „3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა“ შესაბამისობის შეფასების პროცესში არ გამოვლენილა საყურადღებო საკითხები, შესაბამისად, არ გაცემულა რეკომენდაციები (გაცემულია მხოლოდ რჩევები) და ამდენად, ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორივე ქვესტანდარტთან და თავად სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

საგანმანათლებლო პროგრამის ქვესტანდარტებთან „4.1 ადამიანური რესურსი“, „4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება“, „4.3 მატერიალური რესურსი“ და „4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა“ შესაბამისობის შეფასების პროცესში არ გამოვლენილა საყურადღებო საკითხები, შესაბსამისად, არ გაცემულა რეკომენდაციები და ამდენად, ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ოთხივე ქვესტანდარტთან და თავად სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან:

საგანმანათლებლო პროგრამის ქვესტანდარტებთან „5.1 შიდა ხარისხის შეფასება“, „5.2 გარე ხარისხის შეფასება“ და „5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება“ შესაბამისობის შეფასების პროცესში რეკომენდაცია გაიცა მხოლოდ ქვესტანდარტის „5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება“ ფარგლებში, და ამდენად, ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, თუმცა თავად სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდირებულია დაზუსტდეს შემდეგ სასწავლო კურსებზე, კომპონენტზე დაშვების წინაპირობები: „Capstone პროექტი“, „ეთიკა ფინანსურ სექტორში“, „საინვესტიციო პორტფელის მართვა“.
  - ინვესტიციების მართვის მიმართულებით პროგრამით დადგენილი შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „საინვესტიციო პორტფელის მართვა“ პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს სავალდებულო სტატუსით.
  - რეკომენდირებულია რიგ შემთხვევებში სასწავლო კურსის შინაარსისა და დადგენილი შედეგების სათანადოდ მიღწევის უზრუნველსაყოფად უფრო ლოგიკურად იყოს განსაზღვრული საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების მოცულობა.

- რეკომენდირებულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშორმლობის მემორანდუმებში მოხდეს პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობის (ან სილაბუსის პირობების შესრულების ვალდებულების) მითითება.
- გადასახედია პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ზედმეტად სტანდარტიზებული შეფასების მიდგომები და მეთოდები, რათა განსაკუთრებით პრაქტიკული უნარების შეფასების მიზნით მოხდეს უფრო სათანადო მეთოდების გამოყენება, მაგალითად, როგორიცაა პრაქტიკული სავარჯიშოები და ამოცანები, შემთხვევის ანალიზი და ა.შ.
- რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამისა და სილაბუსების შეფასების ეტაპზე გაიცეს რეკომენდაციები ზედმეტად სტანდარტიზებულ შეფასების მიდგომებსა და მეთოდებთან დაკავშირებით, რათა მოხდეს სასწავლო კურსების შედეგებზე მეტად მორგება და სტუდენტის უნარების შეფასების მიზნით უფრო სათანადო მეთოდების გამოყენება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია პროგრამაში უცხო ქვეყნის მოქალაქე აპლიკანტებისთვის დამატებით მიეთითოს საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ წესის არსებობის საკითხი.
  - სასურველია დამხმარე ლიტერატურა დაკონკრეტებული და შეთავაზებული იყოს სტუდენტებისთვის სილაბუსში. მათ შორის შესაძლებელია რეკომენდირებული იყოს ისეთი დამატებითი საკითხავი ლიტერატურა, რაც არ არის ხელმისაწვდომი დაწესებულების ბიბლიოთეკაში.
  - სასურველია უსდ-მ ყველა შესაძლო საკომუნიკაციო ინსტრუმენტით მიაწოდოს ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების, აქტივობების, კონფერენციების და გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებებისა და დასაქმების შესახებ სტუდენტებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ჩართოს სხვა დამატებითი მექანიზმები ამ პროცესში.
  - სასურველია უსდ-მ მეტი ძალისხმევა მიმართოს კულტურულ შემეცნებითი აქტივობების მხარდაჭერასა და განვითარებაზე.
  - სასურველია უსდ-მ დამატებით, არაფორმალურ შეთანხმებებს დამსაქმებლებთან მისცეს ოფიციალური სახე.
  - სასურველია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სტუდენტებისთვის ტექსტის დაკაბადონების წესების, სქოლიოებისა და წყაროების აკადემიური ორგანიზების ნორმების გაცნობას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ანალოგიური პროგრამის გაანალიზების მიზნით Chartered Financial Analyst Institute (CFA Intitute)-ის პროგრამის გამოყენება.

- სტუდენტების ტექნიკური აღჭურვილობით (კომპიუტერებით) უზრუნველყოფა დისტანციური სწავლების პროცესში, ასეთი საჭიროების იდენტიფიცირების შემთხვევაში.

დაწესებულების მხრიდან გაზიარებულ იქნა რეკომენდაცია სასწავლო კურსების წინაპირობების დაზუსტებასთან დაკავშირებით, ხოლო დანარჩენი რეკომენდაციების საპასუხოდ წარმოდგენილ იქნა არგუმენტირებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფმა მსჯელობის შედეგად ძალაში დატოვა შემუშვებული რეკომენდაციები და ჩათვალა, რომ მათი შესრულება გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამას და ხელს შეუწყობს პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს ფინანსური სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ფინანსების თანამედროვე თეორიის და მეთოდების ცოდნითა და პრაქტიკაში გამოყენების უნარებით; ფინანსებში საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებას, რომლებიც უახლესი ტექნოლოგიებისა და დარგში ინოვაციების გათვალისწინებით შეძლებენ გაანალიზონ და გაუმკლავდნენ ფინანსების სფეროში არსებულ თანამედროვე ადგილობრივ თუ გლობალურ პროფესიულ გამოწვევებს; კუსდამთავრებულების აღჭურვას მაღალი სტანდარტის პროფესიული პრაქტიკით და პასუხისმგებლობით, რომელიც მისცემს მათ საშუალებას წვლილი შეიტანონ საქართველოში, რეგიონსა და მის ფარგლებს გარეთ საზოგადოების განვითარებაში, საჯარო და კერძო სექტორის ფინანსური მართვის გაუმჯობესების კუთხით; ასევე, კურსდამთავრებულების აღჭურვას აკადემიური კვლევის უნარებით და მათი მზაობის უზრუნველყოფას სადოქტორო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის. ამდენად, პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ნათლად, ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი) და დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამის შემუშავებას წინ უძღოდა შრომის ბაზრის კვლევა, რომლითაც იკვეთება, რომ მაღალკვალიფიციურ ფინანსისტების მომზადების შესახებ გადაწყვეტილება პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. კერძოდ, ISET-ის მიერ 2020 წლის ივნისში ჩატარდა გამოკითხვა იმ ძირითად ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებში, სადაც ISET-ის ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულები საქმდებიან. გამოკითხულთა 55%-ის მიერ ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირების საუკეთესო გზად დასახელებულია ფინანსებთან დაკავშირებული სასწავლო კურსების დამატება. ISET-მა ასევე ჩაატარა კვლევა საბაკალავრო პროგრამის მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტებთან.

გამოკითხულთა 75.4% გამოხატავს დაინტერესებას ფინანსების სამაგისტრო პროგრამის მიმართ. წარმოდგენილი გამოკითხვებისა და კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში არის მოთხოვნადი და პასუხობს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა იხელმძღვანელა 2020 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განხორციელებული კვლევის („უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა“) შედეგებით, რომლის მიხედვითაც ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით, დასაქმების მხრივ საფინანსო სექტორი საკმაოდ დაწინაურებულია და მე-7 ადგილს იკავებს, ხოლო დასაქმებულთა გადამზადების მიხედვით საფინანსო სექტორი მე-4 ადგილზეა, რაც ასევე ადასტურებს, რომ ფინანსების პროგრამის მიმართ ინტერესი და მოთხოვნა შრომის ბაზარზე საკმაოდ მაღალია. საგანამანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, სადაც საუბარია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებასა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე, ასევე სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე. პროგრამის მიზნები ასევე შესაბამისობაშია სტრატეგიულ გეგმასთან და იზიარებს ISET-ის სტრატეგიული დოკუმენტის - „ISET-ის მიზნები, ამოცანები, სტრატეგიები და აქტივობები (ISET Objectives, Goals, Strategies, and Measures (OGSM)“ ფუნდამენტურ დებულებებს. საგანმანათლებლო პროგრამა იზიარებს ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიით განსაზღვრულ იდეალებს, თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2024) მისწრაფებებს და განსაკუთრებული წვლილი შაქვს აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული II, V და VI სტრატეგიული მიზნების მიღწევაში (II სტრატეგიული მიზანი - სამეცნიერო კვლევების ინტეგრირება საგანმანათლებლო პროცესში; V სტრატეგიული მიზანი - საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია და VI სტრატეგიული მიზანი - საგანმანათლებლო საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • ISET-ის სტრატეგიული დოკუმენტი - OGSM; • სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და მისი აღწერილობა; • სულაბუსები; • შრომის ბაზრის მოთხოვნების კველვა_ანალიზი; • უნივერსიტეტის მისია: https://old.tsu.ge/ge/about/mission_statement/ • ინტერვიუ უნივერსიტეტის და ISET-ის წარმოადგენლებთან, სააგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ფინანსების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე. პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს იმ ცოდნასა და უნარებს, რომელთა განვითარებასაც ემსახურება პროგრამის კურიკულიმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ერთობლიობა. ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით აღწერილი სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონით აღწერილ კომპეტენციებს და პასუხობს მის მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, რომელიც აღწერს რა კომპეტენციის კურსდამთავრებულების მომზადებისკენაა მიმრთული პროგრამა. აღნიშნული შესაბამისობის დემონსტრირება ხდება პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკით. რუკა ლოგიკურადაა აგებული და შესაბსამისობები სათანადოდაა მითითებული. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით

დასაქმების სფეროების მოთხოვნებს. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ISET-ის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 98.5%-ს. ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუებით ასევე იკვეთება, რომ პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციები პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნება და უზრუნველყოფს პროფესიით დასაქმების შესაძლებლობას. დასაქმების მიზნით ISET აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ ინსტიტუციასთან და წარმატებულ კურსდამთავრებულებს თავადაც სთავაზობს გრძელვადიან დასაქმებას სკოლის კვლევით ინსტიტუტში (ISET-PI) კონკრეტული მიმართულებების კვლევის ცენტრებში. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ხელი მიუწვდებათ Teaching Fellow Program-აზე. ყოველწლიურად ISET-ის აკადემიურ პერსონალი და შერჩეული კანდიდატები გადიან 2 კვირიან პედაგოგიკის ტრენინგის ინტენსიურ კურსს ჩეხეთის რესპუბლიკაში CERGE-EI-ის უნივერსიტეტში, რომლის დასრულების შემდეგ ერთვებიან აკადემიურ საქმიანობაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული შესაძლებლობა ექნებათ ფინანსების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებსაც.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუს პროცესში ასევე იკვეთება, რომ ISET-ის კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლას აგრძელებს დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურზე როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. იგივე შედეგების მიღწევას ითვალისწინებს ფინანსების სამაგისტრო პროგრამაც.

ფინანსების სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა იძლევა შედეგების გამჭვირვალედ შეფასების შესაძლებლობას. უნივერსიტეტს მკაფიოდ აქვს გაწერილი სწავლის შედეგების შეფასების ეტაპები და პროცედურები, რაც ასახულია როგორც თვითშეფასების ანგარიშში, ისე დასტურდება წარმოდგენიული დოკუმენტაციითა და ინტერვიუს პროცესში. პროგრამის შედეგების შეფასების პროცესში გამოიყენება სტუდენტთა კმაყოფილების კვლევები, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები და დამსაქმებელთა შეფასებები, რაც იძლევა პროგრამის სტრუქტურაში საჭირო ცვლილებების დროული განხორციელების შესაძლებლობას.

პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს დარგში არსებული თეორიული ცოდნის განვითარებას, მის პრაქტიკული იმპლემენტაციას, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციური, ანალიტიკური და სოციალური უნარების განვითარებას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ინსტიტუტის მიერ ხდება აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე. აკადემიური მოსწრების მიხედვით სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები აღწერილია და რეგულირდება დოკუმენტით „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურები“. აღნიშნული მიდგომით სწავლის შედეგების შეფასების ინსტიტუტის მიერ განხორციელებლის მტკიცებულებად ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილ

იქნა აკადემიური მოსწრების ანალიზი მომიჯნავე პროგრამის (ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის) ფარგლებში.

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება დამატებით დაგეგმილია განსხვავებული მეთოდლოგიით. პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების რუკა, სადაც გაწერილია პროგრამის რომელი სასწავლო კურსით/კომპონენტით მოხდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება, შეფასების ფორმა, სამიზნე ნიშნული, მონაცემების შეგროვების დრო, შეფასებაზე პასუხისმგებელი პირი და მიღებული შედეგების შემფასებელი მხარე. სწავლის შედეგების შეფასების წარმოდგენილი რუკა გაწერილია ლოგიკურად, კერძოდ, თითოეული სწავლის შედეგის შესაფასებლად მითითებულია პროგრამის ის სასწავლო კურსი/კომპონენტი, რომლითაც მაღალი დონით მიიღწევა კონკრეტული სწავლის შედეგი სწავლის შედეგების რუკის მიხედვით. აღნიშნული მეთოდლოგიით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ახალი დაგეგმილია, 2021 წელს შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, შესაბამისად ამ მიდგომით სწავლის შედეგების შეფასება ჯერ არ განხორციელებულა.

ამგვარად, სწავლის შედეგები შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან, შინაარსით მოიცავს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის შესატყვის კომპეტენციებს, პასუხობს კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და იძლევა დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სულაბუსები;
- სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების რუკა;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის და ISET-ის წარმოადგენლებთან, სააგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას. საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები ითვალისწინებს აპლიკანტის მიერ პროგრამით განსაზღვრული დამატებითი პირობების დაკმაყოფილებას, კერძოდ, მიღების წინაპირობად გათვალისწინებულია შიდა მისაღები გამოცდის ჩაბარება წერითი ფორმით. გამოცდა ტარდება ინგლისურ ენაზე და მოიცავს მათემატიკისა და ფინანსების საბაზისო საკითხების ცოდნის შეფასებას. მიღების წინაპირად დამატებით განსაზღვრულია გასაუბრების წარმატებით გავლა შიდა მიმღებ კომისიასთან. გასაუბრება ტარდება ასევე ინგლისურ ენაზე და აპლიკანტმა უნდა მოახდინოს ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მოტივაციის დემონსტრირება. გასაუბრების შედეგების შეფასებისთვის დაწესებულება გეგმავს

შეფასების კრიტერიუმების წინასწარ გაწერას. წერითი გამოცდისა და ზეპირი გასაუბრების საფუძველზე სავალდებულოა აპლიკანტის მიერ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება. საგანმანათლებლო პროგრამა მიღების წინაპირბებს განსაზღვრავს უცხო ქვეყნის მოქალაქე აპლიკანტებისთვისაც. აღნიშნული აპლიკანტებისთვის პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია იგივე მოთხოვნები, საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების მოთხოვნის გარდა. სასურველია პროგრამაში უცხო ქვეყნის მოქალაქე აპლიკანტებისთვის დამატებით მიეთითოს საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ განსხვავებული წესის არსებობის საკითხი, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. შესაბამისად, აღნიშნულის თაობაზე მიზანშეწონილია, განხორციელდეს ზოგადი მითითება, სადაც დამატებით აღნიშნული იქნება, რომ გარდა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნებისა, პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოპოვებისათვის საჭიროა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (#224/ნ, 29.12.2011) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება. აღნიშნული მისცემს დაინტერესებულ აპლიკანტებს ინფორმაციას პროგრამაზე ჩარიცხვის რეგულირების საკითხების შესახებ. რადგან საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, პროგრამაზე მისაღები შიდა წერითი გამოცდის ნიმუშები ამ ეტაპზე არ არის შემუშავებული, თუმცა ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდან დასახელდა ფინანსების სფეროსთან დაკავშირებული ის საბაზისო კონკრეტული ცოდნა, რომელთა შეფასებაც იგეგმება აღნიშნული გამოცდით, რაც ადასტურებს მათი მხრიდან საკითხისა და მიდგომების გააზრებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და მოთხოვნებს, ლოგიკურია, შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, შესაბსამისად, პროგრამით დადგენილი წინაპირობები უზრუნველყოფენ იმ ცოდნისა და უნარების მქონე აპლიკანტების დაშვებას ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელთაც ექნებათ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისა და პროგრამის წარმატებით დასრულების უნარი და შესაძლებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის ხელმძღვალებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პროგრამაში უცხო ქვეყნის მოქალაქე აპლიკანტებისთვის დამატებით

მიეთითოს საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ წესის არსებობის საკითხი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“. დოკუმენტი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურები, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურა. დოკუმენტში წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის უნივერსიტეტში შემუშავებული და მოქმედი ფორმა, პროგრამის დანართები, სილაბუსის ფორმა. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიდგომებს, მეთოდოლოგიასა და პროცედურებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული წესისა და პროცედურების შესაბამისად. ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი, 6 ტრიმესტრი. ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია

სასწავლო კომპონენტი 105 კრედიტის მოცულობით და კვლევითი კომპონენტი 15 კრედიტის მოცულობით: 108 კრედიტი ეთმობა სავალდებულო სასწავლო კურსებს (სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი კრედიტებიდან 100 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებს. მათ შორისაა პრაქტიკის კომპონენტი „Capstone პროექტი“ 5 კრედიტის მოცულობით), 12 კრედიტი ეთმობა არჩევით სასწავლო კურსებს, ხოლო 15 კრედიტი განკუთვნილია სამაგისტრო ნაშრომისთვის.

პრაქტიკის კომპონენტი გათვალისწიებულია სწავლების მეხუთე ტრიმესტრში, ხოლო სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა - სწავლების ბოლო, მეექვსე ტრიმესტრში.

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ფინანსების ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზებული მთლიანი მოცულობაა 36 კრედიტი, საიდანაც სტუდენტი ირჩევს 12 კრედიტს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში ძირითადი სწავლის სფეროს გარკვეული სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლოას.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ანალოგიური პროგრამის გაანალიზების მიზნით გამოყენებულ იქნა წარმატებული ანალოგი Chartered Financial Analyst Institute (CFA Intitute)-ის პროგრამა. პროგრამების სასწავლო გეგმებს შორის არის დაახლოებით 70%-იანი თანხვედრა.

პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურია და მეტწილად სათანადოდაა განსაზღვრული კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები.

ლოგიკურია სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ, აღნიშნულ კომპონენტზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულიე შემდეგი სასწავლო კურსები: აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები, რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 3 - მონაცემთა ვიზუალიზაცია, ეკონომიკა ფინანსისტებისთვის 3, სასესხო ინსტრუმენტების შეფასება, ბიზნესის შეფასება, ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 2, ეთიკა ფინანსების სფეროში, ფინანსური ბაზრების და ინსტიტუტები, კორპორატიული ფინანსები 2. აღნიშნული წინაპირობების დადგენა უზრუნველყოფს კომპონენტის დასაძლევად საჭირო კვლევის უნარებთან, ნაშორმის გაფორმებასთან, ფინანსების სფეროსთან და ეთიკის საკითხებთან დაკავშირებული სათანადო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი სტუდენტების დაშვებას კვლევით კომპონენტზე.

პრაქტიკის კომპონენტზე „Capstone პროექტი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია მხოლოდ ერთი სასწავლო კურსი „ეთიკა ფინანსების სფეროში“. სასურველია აღნიშნულ კომპონენტს განესაზღვროს ფინანსების სფეროსთან დაკავშირებული დამატებითი წინაპირობები, ძირითადი სწავლის სფეროს რიგი სავალდებულო სასწავლო კურსები, მაგალითად, „ბიზნესის შეფასება“, „ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 2“, „კორპორატიული ფინანსები 2“, რათა შესაძლებელი იყოს პრაქტიკის კომპონენტით დადგენილი ისეთი შედეგების მიღწევა როგორიცაა „რისკებისა და მათი დაზღვევის შესაბამისი გზების იდენტიფიცირება“, „ფინანსური ინდიკატორების სპეციფიკური მახასიათებლების კრიტიკული გააზრება“, „ფინანსური განვითარების ძირითადი ფაქტორების ანალიზი“. აღნიშნული შედეგების შესრულება გართულდება პროგრამით

განსაზღვრული ფინანსების სფეროსთან დაკავშირებული შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსების წინასწარ შესწავლისა და შედეგებთან დაკავშირებული ცოდნის წინასწარ გამომუშავების გარეშე, მითუმეტეს, რომ კომპონენტი ნაკლებადაა ორიენტირებული შედეგებთან დაკავშირებული თემატიკის ახსნისა და ცოდნის გადაცემის აქტივობებზე და მიზნად ისახავს სტუდენტმა „აიმაღლოს ცოდნა ფინანსური საქმიანობის სფეროში“ და „გამოიყენოს პრაქტიკაში სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნა და უნარები კონკრეტული საკითხის/იდეის შესასწავლად“.

სასწვლო კურსის „ეთიკა ფინანსურ სექტორში“ წინაპირობად განსაზღვრულია სასწავლო კურსი „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2“ სხვა ორ სასწავლო კურსსთან ერთად (ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1 და კორპორატიული ფინანსები 1). ვთვლით, რომ დადგენილი წინაპირობებიდან სავსებით საკმარისია სასწავლო კურსების „ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1“ და „კორპორატიული ფინანსები 1“ განსაზღვრა, მისი შესწავლა არ მოითხოვს დადგენილ წინაპირობას „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2“ და მხოლოდ ქმნის სასწავლო კურსზე დაშვების დამატებით არასაჭირო ბარიერს.

სასწავლო კურსის „საინვესტიციო პორტფელის მართვა“ წინაპირობად განსაზღვრულია „ეთიკა ფინანსურ სექტორში“, ვთვლით, რომ საინვესტიციო პორტფელის მართვასთან დაკავშირებული თემატიკის შესასწავლად და სასწავლო კურსით დადგენილი შედეგების განსვითარებლად გაცილებით მნიშვნელოვანია შესწავლის წინაპირობად ისეთი სასწავლო კურსების დადგენა, როგორიცაა „სასესხო ინსტრუმენტების შეფასება“, „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებში 2“ ვიდრე სასწავლო კურსი „ეთიკა ფინანსურ სექტორში“.

სასწავლო კურსი „საინვესტიციო პორტფელის მართვა“ პროგრამის ფარგლებში მოიაზრება, როგორც არჩევითი სასწავლო კურსი. ინვესტიციების მართვის მიმართულებით პროგრამით დადგენილი შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, მაგალითად, პროგრამის შედეგის „ფინანსური კონცეფციების და ინსტრუმენტების გამოყენება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში“ სრულად განვითარების მიზნით რეკომენდირებულია აღნიშნული სასწავლო კურსი პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს სავალდებულო სტატუსით. ამასთანავე, დაწესებულების მხრიდან დასაქმების სფეროდ/შესაძლებლობად სახელდება კურსდამთავრებულების მიერ ფინანსების სფეროში სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობა, საჯარო თუ კერძო სტრუქტურებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე. დასაქმების შესაძლებლობების აღწერიდან გამომდინარე შეიძელება ასევე დავასკვნათ ინვესტიციების მართვასთან დაკავშირებული შედეგების სრულფასოვნად განვითარების მნიშვნელობა.

ინტერვიუების საფუძვლეზე დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეების პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობა. ინტერვიუების დროს დასახელდა კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მოხდა პროგრამაზე მუშაობის პროცესში. მაგალითად, დასახელდა პროგრამის შემუშავების პროცესში შემდეგი რეკომენდაციების გაზიარებისა და გათვალისწინების ფაქტები: პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული კომპონენტების შეთავაზება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში,

როგორც ცალკეულ კომპონენტებად, ისე სასწავლო კურსებში შესაბამისი თემატიკისა და სწავლების თუ შეფასების მეთოდების ჩაშენების გზით, კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების გათვალისწინება, არჩევითი საგნების მრავალფეროვნების გაზრდა, დიდ მონაცემთა ანალიზთან დაკავშირებული თემატიკის გათვალისწინება და ა.შ. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით მოხდა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების, პროგრამის შემუშავების პროცესში მათი ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტების გამოთხოვა. დაინტერესებული მხარეების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობა დასტურდება ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტებითაც (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, სადაც იკითხება გაცემული რეკომენდაციები). გამოკითხვის შედეგების საფუძველზე იკვეთება შემდეგი რეკომენდაციების გაზიარება: ეკონომიკის საკითხებთან დაკავშირებული ცოდნის მნიშნელოვნად განვითარება, პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის გათვალისწინება, კომუნიკაციისა და აკადემიური წერის უნარების მნიშვნელოვნად განვითარება. აღნიშნული რეკომენდაციების საპასუხოდ პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ სავალდებულო სასწავლო კურსებს: „ეკონომიკა ფინანსისტებისთვის 1“, „ეკონომიკა ფინანსისტებისთვის 2“, „ეკონომიკა ფინანსისტებისთის 3“, „აკადემიური წერა“, „პროფესიული კომუნიკაციის უნარები ბიზნესსა და ფინანსებში“, „Capstone პროექტი“. შეჯამების სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ პროგრამის მოცულობა, სტრუქტურა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ფინანსების მაგისტრი) და პროგრამით განსაზღვრული კომპონენტების ერთობლიობა შესაძლებელს ხდის პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის სასწავლო გეგმა; • სილაბუსები; • დაინტერესებულ მახარეებთან ინტერვიუს შედეგები; • დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები და მათთან ჩატარებული შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები; • პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები; • სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურები.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია დაზუსტდეს შემდეგ სასწავლო კურსებზე, კომპონენტზე დაშვების წინაპირობები: „Capstone პროექტი“, „ეთიკა ფინანსურ სექტორში“,

„საინვესტიციო პორტფელის მართვა“.

- ინვესტიციების მართვის მიმართულებით პროგრამით დადგენილი შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „საინვესტიციო პორტფელის მართვა“ პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს სავალდებულო სტატუსით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ანალოგიური პროგრამის გაანალიზების მიზნით Chartered Financial Analyst Institute (CFA Intitute)-ის პროგრამის გამოყენება.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა, რომლის მეშვეობითაც ხდება დემონსტრირება პროგრამის რომელი კომპონენტით, სასწავლო კურსით მიიღწევა პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი, სწავლის შედეგების რუკა ასევე განსაზღვრავს რა დონით უზრუნველყოფს პროგრამის კომპონენტი, სასწავლო კურსი კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას: გაცნობა, გაღრმავება თუ განმტკიცების დონით. სწავლის შედეგების რუკის ფარგლებში პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა ლოგიკურადაა განსაზღვრული.

სასწავლო კურსებში აღწერილი სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების

შესაბამის საფეხურს (უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, მაგისტრატურა).

სასწავლო კურსებით დადგენილი სწავლის შედეგები შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს.

სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილია სათანადო მოცულობის კრედიტები და შესაბამისად, სტუდენტისთვის განკუთვნილია კომპონენტებით დადგენილი შედეგების მისაღწევად საჭირო სამუშაო საათების სათანადო მოცულობა, თუმცა სრულად სტანდარტიზებულია სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრული სამუშაო საათების განაწილება საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების შორის. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის შინაარსისა და დადგენილი შედეგების სათანადოდ მიღწევის უზრუნველსაყოფად უფრო ლოგიკურად იყოს განსაზღვრული საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების მოცულობა. მაგალითად, ვთვლით, რომ სასწავლო კურსები „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1, 2 და 3“, „ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა“, „ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1 და 2, „კორპორატიული ფინანსები 1 და 2“, „ბიზნესის შეფასება“ განსაზღვრული შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია პრაქტიკული მუშობის საათებს უთმობდეს მეტ დროს ვიდრე სალექციო საათებს.

სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებულია სწავლება-სწავლის სათანადო მეთოდები და აქტივობები (ლექცია, ჯგფური/ინდივიდუალური მუშაობა, წერითი მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ანალიზი, დისკუსია/დებატები, შემთხვევების შესწავლა, პრეზენტაცია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება), რაც იძლევა შესაძლებლობას მიღწეულ იქნას სწავლის შედეგები (დეტალებისთვის იხ. ქვესტანდარტის „2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები“ აღწერა).

სასწავლო კურსების ფარგლებში აღწერილი სწავლის შედეგების შეფასების მიზნით მეტწილად გამოიყენება შეფასების სათანადო მეთოდები, რაც საშუალებას იძლევა სტუდენტების მიერ მოხდეს გამომუშავებული შედეგების დემონსტრირება, ხოლო სასწავლო კურსის განმახორციელებლ პერსონალის მიერ აღწერილი შედეგების შეფასება. თუმცა არის შემთხვევები, როცა რეკომენდირებულია სასწავლო კურსის სპეციფიკის, შინაარსისა და სასწავლო კურსით დადგენილი სწავლის შედეგები მეტად გათვალისწინება, რათა უფრო სათანადოდ მოხდეს სასწავლო კურსის ფარგლებში მიღწეული შედეგების დემონსტრირება და შეფასება (დეტალებისთვის იხ. ქვესტანდარტის „2.6 სტუდენტების შეფასება“ აღწერა).

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს, გამოყენებულია თანამედროვე ლიტერატურა, რაც დარგში მიმდინარე პროცესების გაცნობის შესაძლებლობას იძლევა. პროგრამის ფარგლებში აქტიურადაა გამოყენებული CFA Intitute-ის სახელმძღვანელოები. სასწავლო კურსების ფარგლებში ხშირ შემთხვევაში (ეკონომიკა ფინანსისტებისთვის 1, ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1, ეკონომიკა ფინანსისტებისთვის 2, კორპორატიული ფინანსები 1 და ა.შ.) არ არის დაკონკრეტებული დამხმარე ლიტერატურა. არის მინიშნება იმის შესახებ, რომ დამატებითი ლიტერატურა ხელმისაწვდომია ISET- ის ბიბლიოთეკაში და მოცემულია ISET- ის სწავლების მართვის

სისტემაში Moodle http://moodle.iset.ge/. სასურველია დამხმარე ლიტერატურა დაკონკრეტებული და შეთავაზებული იყოს სტუდენტებისთვის სილაბუსში. მათ შორის შესაძლებელია რეკომენდირებული იყოს ისეთი დამატებითი საკითხავი ლიტერატურა, რაც არ არის ხელმისაწვდომი დაწესებულების ბიბლიოთეკაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის სასწავლო გეგმა; • პროგრამის სწავლის შედეგებისა რუკა; • სილაბუსები; • პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები; • პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია რიგ შემთხვევებში სასწავლო კურსის შინაარსისა და დადგენილი შედეგების სათანადოდ მიღწევის უზრუნველსაყოფად უფრო ლოგიკურად იყოს განსაზღვრული საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების მოცულობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია დამხმარე ლიტერატურა დაკონკრეტებული და შეთავაზებული იყოს სტუდენტებისთვის სილაბუსში. მათ შორის შესაძლებელია რეკომენდირებული იყოს ისეთი დამატებითი საკითხავი ლიტერატურა, რაც არ არის ხელმისაწვდომი დაწესებულების ბიბლიოთეკაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ ბშესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების

განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარების უზრუნველყოფის მიზნით პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტს „Capstone პროექტი“ - 4 კრედიტის მოცულობით. პრაქტიკის კომპონენტის მიხედვით განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის მიერ შესასრულებელი საკონტაქტო საათების მოცულობა 75 საათის ოდენობით. კომპონენტი ანვითარებს სტუდენტთა ისეთ პრაქტიკულ უნარებს, როგორიცაა „მასპინძელი/მიმღები ორგანიზაციისა თუ საწარმოს ტექნიკური, ორგანიზაციული და ფინანსური ხასიათის საკითხების განსაზღვრა“, „რისკებისა და მათი დაზღვევის შესაბამისი გზების იდენტიფიცირება“, „ფინანსური ინდიკატორების სპეციფიკური მახასიათებლების კრიტიკული გააზრება“, „ფინანსური განვითარების ძირითადი ფაქტორების ანალიზი“, „არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის მეთოდების ანალიზი“ და ა.შ. ზემოაღნიშნული პრაქტიკის კომპონენტით სტუდენტების უზრუნველყოფის დასადასტურებლად დაწესებულების მიერ წარმოდგენილა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, წარმოდგენილია 8 მემორანდუმი, მათ შორის შეთანხმება საქართველოს ეროვნულ ბანკთან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან და საჯარო აუდიტის ინსტიტუტთან, საკონსულტაციო კომპანა PMO-სთან, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან და ა.შ. თანამშრომლობის მემორანდუმები განსაზღვრავენ თანამშორმლობის მიზნებსა და შეთანხმების საგანს საკმაოდ ზოგადად, არ კონკრეტდება პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის ხანგრძლივობა, რაც ხელს შეუწყობდა დაწესებულებას განესაზღვრა თანამშრომელი ორგანიზაციების სათანადო ოდენობა, მისაღები სტუდენტების რაოდენობისთვის საჭირო პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა, და შესაბამისად დაეხმარებოდა დაწესებულებას აღნიშნული პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების სათანადოდ დაგეგმვას. ამდენად, რეკომენდირებულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშორმლობის მემორანდუმებში მოხდეს პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობის (ან სილაბუსის პირობების შესრულების ვალდებულების) მითითება. ვიზიტის ფარგლებში დამატებით მოხდა პრაქტიკის ანგარიშების ნიმუშების გამოთხოვა დაწესებულებისგან. ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შეფასების, ასევე ინტერვიუების შედეგად დასტურდება კომპონენტის სათანადოდ შესრულება სტუდენტების მიერ, ანგარიშებში დეტალურადაა აღწერილი კომპონენტის ფარგლებში განვითარებული ცოდნა და უნარები, კომპონენტის ფარგლებში შესრულებული აქტივობები, თუმცა, რადგან ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, ბუნებრივია წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშები შესრულებულია სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და შესაბსმისად, ვერ შეფასდა შესრულებული პრაქტიკის კომპონენტის შინაარსისა და შედეგების და ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსით დადგენილი

შინაარსისა და შედეგების შესაბამისობის საკითხი.

სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო კურსებითაც, პროგრამაში მრავლადაა წარმოდგენილი ისეთი სასწავლო კურსები (ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა, ფინანსური ანგარიში და ანალიზი 1 და 2, კორპორატიული ფინანსები 1 და 2, სასესხო ინსტრუმენტების შეფასება, ბიზნესის შეფასება, რისკების მართვა და ა.შ.), რომლებიც ორიენტირებულია ფინანსების სფეროსთან დაკავშირებული სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარებაზე.

სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარების მიზნით ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სავალდებულო კომპონენტად ითვალისწინებს რამდენიმე სასწავლო კურსს „კვლევის მეთოდები“ - 4 კრედიტის მოცულობით, „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1“ - 4 კრედიტის მოცულობით, „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2“ - 4 კრედიტის მოცულობით და „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 3 - მონაცემთა ვიზუალიზაცია“ - ასევე 4 კრედიტის მოცულობით, ჯამში 12 კრედიტი. სტუდნეტთა კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურე პროგრამის სავალდებულო კვლევითი კომპონენტი „სამაგისტრო ნაშრომი“, რომელსაც ეთმობა 15 კრედიტი.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცედურები და დაცვის საკითხები რეგულირდება სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით, ნაშორმის ტექნიკური გაფორმების საკითხები დამატებით რეგულირდება ცალკე შემუშავებული დოკუმენტით „სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა“.

ვიზიტის ფარგლებში ასევე მოხდა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამაგისტრო ნაშრომების წარმოდგენა ინსტიტუტის მიერ, დაბალი, საშუალო და მაღალი შეფასებით. წარმოდგენილია ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტებიც. შეფასებული სამაგისტრო ნაშორმები შესრულებულია სათანადოდ. დაცულია დაწესებულების მიერ გაწერილი მოთხოვნები, აღინიშნება მხოლოდ ტექნიკური ხასიათის საკითხები რიგ შემთხვევებში (დეტალებისთვის იხ. ქვესტანდარტის „3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა“ აღწერა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ავიაციის ფინანსების ამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- პრაქტიკის ობიეტებთან გაფორმებული თანამშორმლობის მემორანდუმები;
- წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშები მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამიდან;
- წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამიდან;
- პრატიკის განმახორიელებლებთან ინტერვიუს შედეგები;

• სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშორმლობის მემორანდუმებში მოხდეს პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობის (ან სილაბუსის პირობების შესრულების ვალდებულების) მითითება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებულია სათანადო სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები (ლექცია, ჯგფური/ინდივიდუალური მუშაობა, წერითი მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ანალიზი, დისკუსია/დებატები, შემთხვევების შესწავლა, პრეზენტაცია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება), რაც იძლევა შესაძლებლობას მიღწეულ იქნას პროგრამით და სასწავლო კურსით განსაზღრული სწავლის შედეგები. მაგალითად, სასწავლო კურსში „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1“ სადაც აღწერილია ისეთი სწავლის შედეგები, რომლებიც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს ხსნის: „რისკისა და მოგების სისტემური შეფასება აღწერითი სტატისტიკით“, „ინვესტირების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ალბათობის თეორიის გამოყენება“, „მათემატიკური მიდგომებით პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტა“, გამოყენებულია სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პრაქტიკული მუშაობა, ანალიზი, რაც ლოგიკურად ქმნის შესაძლებლობას განუვითაროს სტუდენტს აღწერილი პრაქტიკული უნარები. სასწავლო კურსში „ფინანსური და მმართელობითი აღრიცხვა“

აღწერილი სწავლის შედეგების „ტრანზაქციების ანალიზი“, „ორგანიზაციების ბიუჯეტის მომზადება“ განვითარების მიზნით ასევე გამოყენებულია სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პრაქტიკული მუშაობა, ანალიზი. ასევე, სასწავლო კურსში „სასესხო ინსტრუმენტების შეფასება“ აღწერილი სწავლის შემდეგი შედეგების „ფიქსირებული შემოსავლის ინსტრუმენტების ღირებულების გამოთვლა და მათი რისკისა და უკუგების ასპექტების შეფასება“, „შემოსავლიანობის მრუდის შედგენა და მისი გამოყენება ფიქსირებული შემოსავლიანობის ინსტრუმენტების ღირებულების დასათვლელად და სხვა ეკონომიკურ-ფინანსური ანალიზისთვის“ გამომუშავება უზრუნველყოფიალია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებითა და პრაქტიკული მუშაობით. სასწავლო კურსში „პროფესიული კომუნიკაციის უნარები ბიზნესსა და ფინანსებში“, სადაც სწავლის შედეგად აღწერილია ანალიზისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება: „გუნდური მუშაობის სპეციფიკის კრიტიკული გააზრება“, „პროფესიული კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდის გამოყენება“, „სხვადასხვა აუდიტორიისთვის პრეზენტაციების წარდგენა“, გამოყენებულია სწავლება-სწავლის ისეი მეთოდები, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, დებატები/დისკუსიები, პრეზენტაციები და ა.შ. რაც შესაძლებელს ხდის სასწავლო კურსებით აღწერილი სწავლის შედეგების მიღწევას. ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს (უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, მაგისტრატურა).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები; • პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის, #3 ბრძანების და უნივერსიტეტში მოქმედი სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების ფარგლებში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური შეფასებისთის განკუთვნილია 60 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასებისთვის - 40 ქულა. პროგრამის ფარგლებში დადგენილია შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, კერძოდ, შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 11 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარია დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%. სწავლის შედეგების შეფასების სისტემაში მეტწილად გათვალისწინებულია სასწავლო კურსის სპეციფიკა, შეფასების კომპონენტები და მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს თუ რამდენად განივითარეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგები, კერძოდ, ისეთ სასწავლო კურსებში, სადაც აღწერილია სწავლის შედეგები, რომლებიც ცოდნის დემონსწრირებას აღწერს, გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდები, რომლითაც შესაძლებელია მიღებული ცოდნის შეფასება, მაგალითად სასწავლო კურსში „ეკონომიკა ფინანსისტებისთვის“ აღწერილი შემდეგი სწავლის შედეგების „მიკროეკონომიკური ფაქტორების იდენტიფიცირება“, „გლობალური სავაჭრო ნაკადების, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის განსაზღვრა“, „მიკროეკონომიკური კონცეფციების, თეორიებისა და მიდგომების გამოყენება“, „ეკონომიკური ცვლადების, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის კრიტიკული ანალიზი“, შესაფასებლად გამოყენებულია შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა ღია კითხვები, რომლითაც შესაძლებელია აღწერილი ცოდნის ან თუნდაც ანალიზის უნარის სტუდენტების მიერ დემონსტრირება და სასწავლო კურსის განმახორციელებლის მიერ შეფასება. სასწავლო კურსში „აკადემიური წერა“ აღწერილი სწავლის შედეგების „სხვადასხვა კვლევითი წყაროების იდენტიფიცირება“, „კრიტიკული შეფასების მეთოდების განსაზღვრა“, „ანალიტიკური ნაშრომის დაგეგმვა და შექმნა“, „აკადემიური ეთიკისა და აკადემიური წერის ნორმების გამოყენება“, „ინფორმაციის

წყაროების დამოუკიდებლად მოძიება და სათანადოდ გამოყენება“ შესაფასებლად გამოყენებულია შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრაქტიკული დავალებების შესრულება/წერითი და ზეპირი დავალებების შესრულება, პრობლემურ საკითხზე პრეზენტაციის მომზადება, ესეს ფორმატის დასკვნითი ნაშრომის მომზადება და პრეზენტაცია, სადაც შეფასების კრიტერიუმებია დამუშავებული ლიტერატურის სისრულე, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, დისკუსიის უნარი, წერითი მეტყველების კულტურა, რაც შესაძლებელს ხდის სასწავლო კურსით აღწერილი სწავლის შედეგების მიღწევის დემონსტრირებას და შეფასებას. სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები“ აღწერილი სწავლის შედეგების „არგუმენტირებულად დაასაბუთოს კვლევის კონკრეტული მეთოდის საჭიროება“, „გააანალიზოს კვლევის შედეგები“, „ინფორმაციის წყაროების განსაზღვრა (ბიბლიოგრაფია, ელექტრონული რესურსები) და სათანადოდ გამოყენება“ შესაფასებლად გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა აკადემიური ნაშრომის განხილვა და კრიტიკული მიმოხილვა, კვლევითი წინადადებების შედგენა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო კურსის ფარგლებში აღწერილი შედეგების სტუდენტის მიერ დემონსტრირებასა და ლექტორის მიერ შეფასებას. კომუნიკაციის უნარების შეფასების მიზნით სასწავლო კურსში „პროფესიული კომუნიკაციის უნარები ბიზნესსა და ფინანსებში“ აღწერილი შემდეგი სწავლის შედეგების „პროფესიული კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდის გამოყენება“, „კომპიუტერული პროგრამების გამოყენება საქმიანი შეტყობინებების დასაწერად“, „სხვადასხვა აუდიტორიისთვის პრეზენტაციების წარდგენა“ შესაფასებლად გამოყენებულია შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა საქმიანი წერილების მომზადება, ბიზნეს წინადადებების შემუშავება, კომუნიკაციის უნარებთან დაკავშირებული სიტუაციური ანალიზი, პრეზენტაცია, აღნიშნული მეთოდებით შესაძლებელია პრეზენტაციის, საკუთარ პოზიციების წარმოჩენის, არგუმენტირებისა და მისი დაცვის უნარების დემონსტრირება და შეფასება.

თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ზედმეტად სტანდარტიზებული შეფასების მეთოდები. არის კონკრეტული შემთხვევები, სადაც რეკომენდირებულია სასწავლო კურსის სპეციფიკასა და სწავლის შედეგების მეტად გათვალისწინება და შესაბამისად, შედეგების შეფასებისთვის უფრო სათანადო შეფასების მეთოდების გამოყენება. მაგალითად, სასწავლო კურსში „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1“ აღწერილი სწავლის შედეგები „რისკისა და მოგების სისტემური შეფასება აღწერითი სტატისტიკით“, „ინვესტირების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ალბათობის თეორიის გამოყენება“, „მათემატიკური მიდგომებით პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტა“, რთულად შესაფასებელია შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებით, როგორიცაა ღია კითხვები, ღია კითხვები არის ერთადერთი ტიპის დავალება, რომელიც გამოყენებულია სასწავლო კურსის ფარგლებში, როგორც შუალედური, ისე დასკვნითი შეფასებების დროს. ამასთან, ღია კითხვების შეფასების კრიტერიუმები ნაკლებად მორგებულია სასწავლო კურსში არწერილი შედეგების შეფასებაზე. სასწავლო კურსში „ფინანსური და მმართელობითი აღრიცხვა“ აღწერილი სწავლის შედეგების „ტრანზაქციების ანალიზი“, „ორგანიზაციების ბიუჯეტის მომზადება“ შეფასების სადემონსტრაციოდ და შესაფასებლად ასევე გამოყენებულია მხოლოდ ღია

კითხვები, რომლითაც რთულია აღწერილი სწავლის შედეგების დემონსტრირება და შესაბამისად, მათი მიღწევის შეფასება. სასწავლო კურსში „სასესხო ინსტრუმენტების შეფასება“ აღწერილია სწავლის შემდეგი შედეგები: „ფიქსირებული შემოსავლის ინსტრუმენტების ღირებულების გამოთვლა და მათი რისკისა და უკუგების ასპექტების შეფასება“, „შემოსავლიანობის მრუდის შედგენა და მისი გამოყენება ფიქსირებული შემოსავლიანობის ინსტრუმენტების ღირებულების დასათვლელად და სხვა ეკონომიკურ-ფინანსური ანალიზისთვის“, ხოლო შეფასების მეთოდად გამოყენებულია მხოლოდ ღია კითხვები და დახურული ტესტური ტიპის კითხვები. სასწავლო კურსი „რისკების მართვა“ აღწერს შემდეგ სწავლის შედეგებს: „საპროცენტო განაკვეთის გამოანგარიშება ორი პერიოდის ბინომის მოდელის გამოყენებით“, „Black-Scholes – Merton- ის ოფციის შეფასების მოდელის გამოყენება“, აღნიშნული სწავლის შედეგების შესაფასებლად აქაც გამოიყენება მხოლოდ ღია კითხვები, რომლითაც რთულია აღწერილი სწავლის შედეგების დემონსტრირება და შეფასება. შესაბამისად, ვთვლით რომ გადასახედია პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ზედმეტად სტანდარტიზებული შეფასების მიდგომები და მეთოდები, რათა განსაკუთრებით პრაქტიკული უნარების შეფასების მიზნით მოხდეს უფრო სათანადო მეთოდების გამოყენება, მაგალითად, როგორიცაა პრაქტიკული სავარჯიშოები და ამოცანები, შემთხვევის ანალიზი და ა.შ.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასების საშუალებით. სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმები დადგენილია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით. ფასდება სამაგისტრო ნაშრომის ფომრალური მხარე (ნაშრომის სტრუქტურის, გაფორმების წესების დაცვა), შინაარსობრივი მხარე (საკვლევი საკითხის აქტუალობა, საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურის და მომიჯნავე საკითხების საკვანძო მომენტებში კომპეტენტურობა), ნაშრომის ზეპირი პრეზენტაცია (მასალის ცოდნა, ანალიზის, არგუმენტირების და დასკვნის უნარი, აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი, ტექნიკური და ვიზუალური მხარე).

როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, ისინი იღებენ უკუკავშირს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხრიდან სწავლის შედეგებზე, მათი გაუმჯობესების გზებზე, ასევე, ისინი სათანადოდ არიან ინფორმირებულნი სააპელაციო პროცედურების შესახებ. სააპელაციო პროცედურების შესახებ ინფორმაციას სტუდენტები ძირითადად იღებენ საკონსულტაციო საათების დროს, შესაბამისი სასწავლო კურსის ლექტორებისგან ანდა ადმინისტრაციისგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურები.
რეკომენდაციები: • გადასახედია პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ზედმეტად სტანდარტიზებული შეფასების მიდგომები და მეთოდები, რათა განსაკუთრებით პრაქტიკული უნარების შეფასების მიზნით მოხდეს უფრო სათანადო მეთოდების გამოყენება, მაგალითად, როგორიცაა პრაქტიკული სავარჯიშოები და ამოცანები, შემთხვევის ანალიზი და ა.შ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების

გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას, ასევე, მათ აქვთ კარიერულ განვითარებასთან მიმართებით მხარდაჭერა. აღნიშნული საკითხები უსდ-ში ძირითადად რეგულირდება „ეთიკისა და ქცევის კოდექსით“, ასევე დოკუმენტით „სტუდენტის სახელმძღვანელო: აკადემიური წესები და რეგულაციები“. მოცემული ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე სხვა ნებისმიერი დაინტერესებული პირებისთვის. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის თუ ფაკულტეტის ყველა მნიშვნელოვანი დებულებები, წესები და რეგულაციები განთავსებულია უსდ-ს ოფიციალურ ვებ გვერდზე. დაწესებულებაში არსებული ონლაინ სისტემები საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ დროული და ადეკვატური ინფორმაცია საკუთარ მიღწევებთან, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, ასევე დაამყარონ კომუნიკაცია პედაგოგთან, ადმინისტრაციასთან, იხილონ აკადემიური ჯგუფის ცხრილი, აკადემიური კალენდარი და სხვა. თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა უზრუნველყოფს სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. ვიზიტის განხორციელებისას ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები აქტიურად იღებენ მონაწილეობას უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ გამოკითხვაში, რომელიც უკავშირდება საგნის ლექტორებს, სასწავლო კურსებს, საგამოცდო პროცესებსა და ადმინისტრაციის მუშაობის შეფასებას, რისი მიზანიცაა აკადემიური მიღწევებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესება. ამავე ეგიდით დაწესებულება ახორციელებს დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევას, რაც საშუალებას იძლევა დაინტერესებულმა მხარეებმა მიიღონ რელევანტური ინფორმაცია არსებულ სიტუაციაზე. საბიბლიოთეკო სისტემა მეტად მოქნილია და მორგებულია უნივერსიტეტის მოსწავლეთა მოთხოვნებზე. საწიგნო ფონდი საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ვერსიებით. სტუდენტებს სპეციალური საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აქვთ წვდომა სამეცნიერო ბაზებზე, როგორებიცაა scopus, sciencedirect და ა.შ. გარდა ამისა, ისინი იღებენ ძირითად, ასევე დამატებით სასწავლო მასალას moodle-ის პლატფორმის მეშვეობით, რაც დადასტურდა ინტერვიუებითა და საბიბლიოთეკო მექანიზმის ონლაინ შესწავლის საფუძველზე. უსდ-ს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იმ შემთხვევაში თუ წიგნის ელექტრონული ვერსია არ არის ხელმისაწვდომი, დაინტერესებული მხარის მიმართვის საფუძველზე ახორციელებენ მის გაციფრულებასა და მიწოდებას, აღნიშნული დადასტურდა ექსპერტთა ჯუგუფის ვიზიტის მიმდინარეობისას, როგორც სტუდენტებთან, ისე კურსდამთავრებულებთან შეხვედრის დროს. საბიბლიოთეკო სივრცე აღჭურვილია 15 პერსონალური კომპიუტერით და აგრეთვე არსებობს სპეციალური კაბინეტი სადაც განთავსებულია დამატებით 31

ერთეული. მეტად დადებითია ფაქტი, რომ უსდ-მ პანდემიის პირობებში დანერგა ტექნიკური საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის პრაქტიკა იმ სტუდენტებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ ონლაინ ლექციებზე დასაწრებად საჭირო ინვენტარი (კომპიუტერები). ინტერვიუების დროს სტუდენტები, ასევე კურსდამთავრებულები დადებითად აფასებდნენ პანდემიის პერიოდში ონლაინ განხორციელებული სასწავლო პროცესის წარმართვას, ხაზი გაუსვეს ონლაინ ჩატარებული გამოცდების ტექნიკურ გამართულობას. ისინი, შეუფერხებლად ღებულობენ კონსულტაციებს მათთვის საჭირო თემებზე ადმინისტრაციის წარმომადგენლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან. მოცემულ საკითხზე ინფორმაციას ძირითადად ავრცელებენ საგნის ლექტორები და გამოიყენება ელ. ფოსტაც, თუმცა სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს საკონსულტაციო საათებზე ცნობების მიწოდება სტუდენტური ბაზების და სხვა ინსტრუმენტების გამოყენებითაც, რაც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მხარეებს შეუფერხებლად ჰქონდეთ წვდომა ზემოხსენებულ განრიგზე.

თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში ფუნქციონირებს კომუნიკაციებისა და საგარეო საქმეთა დეპარტამენტი, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმება და კარიერული განვითარების ხელშეწყობა. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ მოცემული სტრუქტურა ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს და აწვდის მუდმივად განახლებულ ინფორმაციას გამოცხადებული ვაკანსიების, სტაჟირებების, კონკურსების, ასევე ნებისმიერი არსებული პროფესიული და დამატებითი შესაძლებლობების შესახებ. დეპარტამენტი აორგანიზებს შეხვედრებს წარმატებულ კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებს შორის, რითიც ცდილობს ხელი შეუწყოს მხარეებს გამოცდილების გაზიარების კუთხით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, როგორც კერძო დამსაქმებლებთან, ასევე საჯარო სტრუქტურულ ერთეულებთან, რაც მეტად დადებითი ფაქტია. თუმცა ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მათ გაცილებით მეტი რაოდენობის პარტნიორი ორგანიზაცია ჰყავთ სადაც შესაძლებელია სტაჟირების გავლა და დასაქმება, მაგრამ ოფიციალურად ეს თანამშრომლობა არ არის გაფორმებული. სასურველია თუ ISET-ი ხელშეკრულების დონეზე მოახერხებს ზემოაღნიშნულ სუბიექტებთან შეთანხმების დადებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ინტერვიუების მეშვეობით გამოაშკარავდა, რომ უსდ ცდილობს ხელი შეუწყოს სტუდენტების მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების წარმოჩენასა და სოციალურ/კულტურულ აქტივობას, როგორც უნივერსიტეტში ასევე მის ფარგლებს გარეთაც. დაწესებულებაში ხორციელდება სტუდენტთა მოთხოვნებზე ორიენტირებული სხვადასხვა ღონისძიებები, როგორც საგანმანათლებლო, ისე სპორტული მიმართულებით. თუმცა, სასურველია უსდ-მ მეტი ძალისხმევა მიმართოს კულტურულ შემეცნებითი აქტივობების მხარდაჭერასა და განვითარებაზე. ISET-ი უზრუნველყოფს აკადემიური, მოწვეული პერსონალის, აგრეთვე სტუდენტების ადგილობრივ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში მონაწილეობის წახალისებას. სტუდენტებს აქვთ

შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ზემოაღნიშნულ აქტივობებში, ინფორმაცია მოცემულ საკითხზე ვრცელდება ელექტრონულ ფოსტასა და ოფიციალურ ვებ გვერდზე.

აკადემიურ საქმეთა, კომუნიკაციებისა და საგარეო საქმეთა დეპარტამენტები აწვდიან სტუდენტებს ინფორმაციას გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო მობილობის კონკურსების, მათი პირობების შესახებ. ძირითადად ცნობები ვრცელდება ელ. ფოსტასა და საორიენტაციო შეხვედრებზე. არსებული დადასტურდა დოკუმენტაციის, სტატისტიკური მონაცემების შესწავლითა და ინტერვიუებით. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ერასმუს+, ასევე ევროპის სხვა უნივერსიტეტებთან დადებული თანამშრომლობის მემორანდუმებით გათვალისწინებული გაცვლითი პროგრამებით, და განათლება მიიღონ უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში.

თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა სტუდენტებთან კავშირის დასამყარებლად იყენებს სხვადასხვა საშუალებებს, კერძოდ, ელექტრონულ ფოსტას, საორიენტაციო ონლაინ და პირისპირ შეხვედრებს. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით უმჯობესი იქნება მოცემულ არხებს დაუმატოს სხვა საკომუნიკაციო საშუალებებიც ან არსებობის შემთხვევაში გაზარდოს მისი გამოყენების ინტენსივობა (მაგ. მოკლეტექსტური შეტყობინებები, სოციალური ქსელები, ოფიციალური ვებ გვერდი და სხვა). ინტერვიუების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ზოგჯერ ვერ ახერხებენ იმეილით ცნობების დროულად გაცნობას და მათი აზრით კარგი იქნება თუ დაწესებულება უფრო მეტ ინსტრუმენტს გამოიყენებს ამ მხრივ.

პოზიტიური ფაქტია ისიც, რომ გასაუბრებისას რესპოდენტებმა ხაზი გაუსვეს პანდემიის პირობებში ონლაინ ლექციებისა და გამოცდების შეფერხებების გარეშე მიმდინარეობას, ხოლო ასეთის დაფიქსირების შემთხვევაში დაწესებულება თავის მხრივ მყისიერად ახდენს მოქმედებას და პრობლემის აღმოფხვრას. გამართულად ფუნქციონირებს აგრეთვე სტუდენტური პორტალიც, რომელიც პასუხისმგებელია სასწავლო მასალის, შეფასებებისა და ცხრილებთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებაზე. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევაში აღინიშნა უმნიშვნელო ხარვეზები ამ მხრივ, რაც ძირითადად ტექნიკური ხასიათისაა (ინტერნეტის შეფერხება, ვიდეო გამოსახულების ხარვეზი).

ISET-ში ჩამოყალიბებულია კურსდამთავრებულთა ასოციაცია, რისი ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულთა შორის ურთიერთობების შენარჩუნებასა და გაღმავებას. იგი აგრეთვე ახორციელებს ფონდების მოძიების შიდა კამპანიებს, რისი მეშვეობითაც ორგანიზდება სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებები.

ინტერვიუების მიმდინარეობისას დადასტურდა, რომ სტუდენტები ფლობენ საკმარის ცოდნას გასაჩივრებებისა და სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ, რაზეც რეაგირებას უნივერსიტეტი დროულად და ადეკვატურად ახდენს. მოცემული ინფორმაცია განთავსებულია საჯაროდ და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. არსებულ საკითხს არეგულირებს „გამოცდების გასაჩივრების წესი“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;

- ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეთიკის კოდექსი;
- თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის გამოცდების გასაჩივრების წესი;
- თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის „სტუდენტის სახელმძღვანელო: აკადემიური წესები და რეგულაციები“;
- თსუ-ს წესდება;
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტი;
- თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ვებ-გვერდი: www.iset.tsu.ge;
- ISET-ის საკომუნიკაციო და სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა: www.moodle.iset.ge;
- სტუდენტების საჭიროებების შეფასების შეხვედრის ანგარიში;
- სტუდენტთა ელ. სწავლების კმაყოფილების კვლევა;
- (ISET) სტუდენტების კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის სტატისტიკური მონაცემები;
- სტუდენტებთან გაგზავნილი სიანფორმაციო მეილები;
- ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ბიბლიოთეკასთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უსდ-მ ყველა შესაძლო საკომუნიკაციო ინსტრუმენტით მიაწოდოს ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების, აქტივობების, კონფერენციების და გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებებისა და დასაქმების შესახებ სტუდენტებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ჩართოს სხვა დამატებითი მექანიზმები ამ პროცესში.
- სასურველია უსდ-მ მეტი ძალისხმევა მიმართოს კულტურულ შემეცნებითი აქტივობების მხარდაჭერასა და განვითარებაზე.
- სასურველია უსდ-მ დამატებით, არაფორმალურ შეთანხმებებს დამსაქმებლებთან მისცეს ოფიციალური სახე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომელთაც აქვთ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. პროგრამაში გათვალისწინებულია სავალდებულო კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომი, რისი თემისა და მასთან შესაბამისი ხელმძღვანელის შერჩევა ხორციელდება მეექვსე ტრიმესტრის დასაწყისში. სტუდენტებს მიეწოდებათ შესაბამისი ინფორმაცია კვლევასთან დაკავშირებულ რეგულირებებზე, შეფასებაზე, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტში „სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა, შესრულების წესი“, ასევე, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში. დაწესებულებას დეტალურად აქვს განსაზღვრული მაგისტრანტის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები. სტუდენტები ინფორმირებულები არიან სამაგისტრო ნაშრომის ზოგად მოთხოვნებზე, ეს ცნობები არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. მომიჯნავე სფეროებში შესრულებული სამაგისტრო ნაშრომების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ ისინი აკმაყოფილებს აკადემიურ სამეცნიერო მოთხოვნებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევებში შეინიშნება გარკვეული ტექნიკური ხასიათის საკითხები, კერძოდ: ტექსტის დაკაბადონების წესში, სქოლიოებისა და ელექტრონული წყაროების მართებულად მითითებაში. კვლევების მცირე ნაწილში გამოყენებულია მინიმალური რაოდენობის ლიტერატურა. მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ნაშრომები თავად დაწესებულების მიერაც შეფასებულია შედარებით დაბალი შეფასებით. სამაგისტრო ნაშრომი გადის შემოწმებას ანტიპლაგიატის სისტემაზე (დაწესებულების მიერ ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების დამადასტურებელი ანგარიშები), მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ კი ხდება მისი წარდგენა და დაცვა კომისიის წინაშე, რომელშიც როგორც წესი შედის აკადემიური და მოწვეული პერსონალის 4-5 წარმომადგენელი. მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლითა და ინტერვიუების მეშვეობით დადგინდა, რომ მომიჯნავე სფეროებში სტუდენტები სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას იღებენ სათანადო კონსულტაციას ხელმძღვანელებისგან. სასურველია მეტი ყურადღება დეთმოს

სტუდენტებისთვის კვლევაში წყაროების მართებულად მითითების წესების გაცნობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა, შესრულების წესი; • თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის „სტუდენტის სახელმძღვანელო: აკადემიური წესები და რეგულაციები"; • პლაგიატზე შემოწმების დასკვნები; • წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამიდან; • აკადემიური, მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, CV-ები და ხელშეკრულებების ნიმუშები; • ინტერვიუს შედეგები (პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ/მოწვეიულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სტუდენტებისთვის ტექსტის დაკაბადონების წესების, სქოლიოებისა და წყაროების აკადემიური ორგანიზების ნორმების გაცნობას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან	√			

ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 15 პირი, საიდანაც 11 არის მოწვეული ლექტორი, ხოლო ოთხი - აისეტის აკადემიური პერსონალი. ყველა მათგანს აქვს დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში, იმ სასწავლო კომპონენტების გათვალისწინებით, რასაც ისინი უძღვებიან პროგრამის ფარგლებში. ამ პირების უმეტესობას მიღებული აქვს განათლება უცხო ენაზე (ინგლისურად), ხოლო ვისაც არ აქვს ასეთი განათლება, ცალკე დოკუმენტით დასტურდება ენობრივი კომპეტენცია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პერსონალთან ინტერვიუს პროცესი მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე.

აისეტში აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებითა და აისეტის დამფუძნებელი PEER-ის ხელშეკრულების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის კონკურსის წესით შერჩევა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის N118 დადგენილების საფუძველზე, ხოლო მოწვეული პერსონალის შერჩევა - ამავე უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ორივე მათგანში, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასაც უნდა

აკმაყოფილებდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის დაგეგმვა ხდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის N05/03 ბრძანებით დამტკიცებული წესით.

აისეტის სტრატეგიული დოკუმენტის -OGSM მიხედვით, სკოლის სტრატეგიებში გაწერილია საერთაშორისო დონის პროფესურის რაოდენობის ზრდა, რაც გულისხმობს შედეგს:

1. მოწვეული პროფესორების არანაკლებ 50% განმეორებით არის მოწვეული აისეტში გრძელვადიანი ვალდებულებით. მათგან 90% უნდა აკმაყოფილებდეს სწავლების ხარისხის სტანდარტებს (ოთხს ხუთიდან)
2. აკადემიური წლის განმავლობაში მოწვეული მკვლევარების მიერ ტარდება არანაკლებ 10 კვლევითი სემინარი (რომელთაგან არანაკლებ 6 სემინარი ან ლექცია განკუთვნილია საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის)

ამასთან, ინტერვიუს დროს მიღებული განმარტებების თანახმად, საერთაშორისო პროფესურაში იგულისხმება პერსონალი, რომელსაც გააჩნია საერთაშორისო დონეზე სწავლებისა და კვლევების გამოცდილება, იმის გათვალისწინებით, რომ აისეტში ჩარიცხული სტუდენტების ნაწილი წარმოადგენს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე და მიზნად აქვს კურსდამთავრებულებისათვის იმ ცოდნისა და უნარებისა გამომუშავება, რითაც კონკურენტუნარიანები იქნებიან საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე.

კვლევითი საქმიანობის ნაწილში კი განსაზღვრულია, რომ პროფესორები, რომლებიც ჩართული არიან კვლევებში, აქვეყნებენ არანაკლებ სამ სტატიას საერთაშორისო აღიარებით რეცენზირებულ ჟურნალებში ნებისმიერ სამ წელიწადში, ხოლო პროფესორები, რომლებიც ჩართული არიან კვლევებში, წლის განმავლობაში ატარებენ არანაკლებ 2 სემინარს აისეტის საზოგადოებისთვის და წარადგენენ არანაკლებ ორ ნაშრომს აისეტის სამუშაო ნაშრომების სერიისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუს შედეგებით, დასტურდება ზემოხსენებული მოთხოვნების შესრულება. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ნაწილი მოწვეულ ლექტორებს შეადგენს, ისინი ჩართულები არიან მომიჯნავე პროგრამების განხორციელებაში და არაერთი წელია თანამშრომლობენ აისეტთან. ამასთან, სტრატეგიის დოკუმენტის მიხედვით, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მოწვეული პროფესორების არანაკლებ 50% განმეორებით უნდა იყოს მოწვეული გრძელვადიანი ვალდებულებით.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ცოდნა და კომპეტენციები, რასაც ადასტურებს ასევე მისი განათლების, პრაქტიკული და სამეცნიერო აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტები.

აისეტში დანერგილია პრაქტიკა, რომლის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები, პერიოდულად ხვდებიან სტუდენტებს (შეხვედრებს Coffee and Conversation-ს უწოდებენ). ამ შეხვედრების განმავლობაში სტუდენტებისგან ისმენენ მოსაზრებებსა თუ შენიშვნებს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რაც შემდეგ საჭიროების შემთხვევაში, აისახება პროგრამაში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების, აისეტის სტრატეგიის დოკუმენტის, ასევე ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ კონფერენციებსა და სხვადასხვა დარგობრივ პროექტებში, ასევე თავადაც ეწევიან კვლევით საქმიანობას, რასაც ადასტურებს მათ მიერ გამოქვეყნებული სტატიებისა და სახელმძღვანელოების ჩამონათვალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • თვითშეფასების ანგარიშზე დართული პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • სტრატეგიის დოკუმენტები; • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის N118 დადგენილება; • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის N05/03 ბრძანება; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური,

სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მიხედვით, მისი ერთ-ერთი პრიორიტეტია პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. ISET-ი, როგორც თსუ-ს სტრუქტურული ერთეული რეგულარულად ახდენს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასებას. სასწავლო საქმიანობის შეფასების მიზნით, ტარდება სტუდენტური გამოკითხვა, რომლის შედეგების მიხედვით დგინდება პერსონალის გადამზადების საჭიროება და პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრის დაგეგმვა, იქნება ეს საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის მიღება, სხვადასხვა ტიპის სემინარები, ტრეინინგები თუ სხვა. აღსანიშნავია, რომ შედეგები განმაპირობებელი ფაქტორია პერსონალის კარიერული წინსვლის კუთხითაც, რაც მათთვის ერთ-ერთი მოტივატორია. გარდა ზემოთხსენებულისა, ISET ასევე აქტიურად აწარმოებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებას სამი მიმართულებით: სწავლება, კვლევა და საუნივერსიტეტო საქმიანობის ხელშეწყობა. კმაყოფილების კვლევის შედეგები კი ისევ, როგორც წინა შემთხვევაში, კარიერული განვითარების წინაპირობაა. მათი შედეგების შეფასებას ახდენს ISET-ის საბჭო, რომელიც ეყრდნობა სტუდენტების მიერ ლექტორების სწავლების შეფასების შედეგებს, ასევე, პერსონალის მიერ ჩართულობის ხარისხს სამუშაო დოკუმენტების შექმნაში. ასევე მნიშვნელოვანია პერსონალის მიერ განხორციელებული აქტივობა, იქნება ეს კონფერენციებში მონაწილეობა, სემინარებისა და პრეზენტაციების ჩატარება თუ პუბლიკაციების გამოქვეყნება. პროფესიული განვითარების საჭიროებებიდან გამომდინარე, აკადემიური პერსონალს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ისეთ სემინარებში როგორიცაა: "ინტერნაციონალიზაცია" (თსუ, თბილისი & CEU, ბუდაპეშტი 2018 წ.) და "აკადემიური ნაშრომების გამოცემა" (თსუ, თბილისი 2018, 2019, 2020 წწ.). FREE Network Retreat: გდანსკი, პოლონეთი 2019; მინსკი, ბელორუსია, 2018; რიგა, ლატვია 2017. CERGE-EI ფონდის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური პედაგოგიკის სემინარები 2015-2020; Erasmus-ის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მობილობები; UASP Research Management and Leadership Program 2021 და სხვა. სკოლა ასევე ზრუნავს აკადემიური პერსონალის მოტივაციის გაზრდაზე. საერთაშორისო აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებითა და თანხმობით, სკოლა პერსონალს სთავაზობს ბონუსურ სისტემას სამეცნიერო საქმიანობისთვის, რომლის მიღებაც შეუძლია ყველა სრულ განაკვეთზე მყოფ აკადემიურ პერსონალს. ISET-ის აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფილია უწყვეტი ტექნიკურ მომსახურებით,

იქნება ეს მათი პროგრამული უზრუნველყოფა თუ ტრენინგი, რომელსაც უზრუნველყოფს IT დეპარტამენტი. პერსონალი გადამზადებულია, ონლაინ რეჟიმში ტექნოლოგიური შესაძლებლობების კუთხით და 2020 წლიდან მათ აქვთ სკოლის ლიცენზირებული პროგრამებით სარგებლობის უნიკალური შესაძლებლობა. ასევე პერსონალს აქვს შესაძლებლობა გამოიყენონ ისეთი რესურსები, როგორიცაა Scopus, Science Direct და Scival და მიიღონ წვდომა მსოფლიოს უახლესი ლიტერატურაზე, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://old.tsu.ge/ • აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები; • სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობის მექანიზმები; • ISET ნაშრომების სერია - (ISET Working Papers Series”).
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ISET-ს სარგებლობაში აქვს 7 (შვიდი) სართულიანი შენობა არსებობის ვადით, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ზანდუკელის ქ. N16-ში. შენობას აქვს კეთილმოწყობილი ეზო, აღჭურვილია ლიფტებით, გათბობის ცენტრალური სისტემით, რიგი ოთახები კონდიცირების თანამედროვე სისტემით, სველი წერტილებით და ადაპტირებულია შშმ პირებისათვის. შენობაში განთავსებულია როგორც სააუდიტორიო, ასევე საერთო

ფართები, მოსასვენებელი ავეჯითა და სამკითხველო მაგიდებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელიც სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კვირის ნებისმიერ დღეს, კომპიუტერული ლაბორატორია, საერთო სარგებლობის შეხვედრების ოთახები, ასევე ინდივიდუალური ოფისები, რომელიც განკუთვნილია აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის, ადმინისტრაციისათვის და ინგლისური ენის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალისთვის, საერთო სარგებლობის ოთახი სემინარებისათვის და შეხვედრებისთვის. ამფითეატრის ტიპის აუდიტორია, სინქრონული თარგმანის აპარატურით, ხმოვანი სისტემით, პროექტორით და კომპიუტერით აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზი, რომელიც ასრულებს ვიდეოსაკონფერენციო ოთახის ფუნქციას საერთაშორისო უნივერსიტეტებთან კომუნიკაციისთვის.

შენობაში ასევე განთავსებულია მოსასვენებელი სივრცეები, როგორც ადმინისტაციული და აკადემიური პერსონალისათვის, ასევე სტუდენტებისთვის. სივრცეები აღჭურვილია რბილი ავეჯით, მაგიდებით, სკამებით, ტელევიზორითა და პინგ-პონგის სათამაშო მაგიდით. საუდიტორიო სივრცეები განახლებულია და აღჭურვილია სწავლისათვის საჭირო ყველა ტექნიკით, მათ შორის ციფრული დაფებით.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია წიგნადი ფონდი, რომელიც შედგება დაახლოებით 5456-მდე წიგნისგან. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ ხელმისაწვდომია ფინანსების სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული, როგორც ძირითადი ასევე დამხმარე ლიტერატურა, ციფრული და ბეჭდური სახით (სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა გადამოწმდა შემთხვევით შერჩევის პრინციპით). საბიბლიოთეკო რესურსებზე წვდომა აქვს ყველა სტუდენტს და პროფესორ-მასწავლებელს, იქნება ეს ბეჭდური თუ ციფრული წიგნები, ჟურნალები, საცნობარო მასალები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები და სხვა.

ხელმისაწვდომია ელექტრონული კატალოგი Koha, რომელიც უზრუნველყოფს ონლაინ ბიბლიოთეკაში ინფორმაციის მიღებას ადგილზე, ათასობით წიგნის, ჟურნალისა და სხვა პუბლიკაციის შესახებ. სკოლაში ასევე შესაძლებელია ისეთი ელექტრონული ჟურანლების გამოწერა, როგორიცაა: The Oxford English Dictionary (OED), EBSCO, EconLit, ScienceDirect, Cambridge University Press, JSTOR Arts and Science collections I and II და სხვა.

საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია როგორც საკუთარი, ასევე საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მხარდაჭერა, რომელშიც განთავსებულია უახლესი უცხოენოვანი თანამედროვე წიგნადი ფონდი.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კომპიუტერულ კლასებში შეინიშნება კომპიუტერული ტექნიკის სიმწირე, რაც ახსნილი იქნა იმით, რომ დისტანციური სწავლების რეჟიმში სკოლა მაქსიმალურად ეხმარება თავის სტუდენტებს და სახლში ატანს კომპიუტერებს ვისაც ამის საჭიროება უდგას. აღნიშნული ქმედება მისასალმებელია და შეიძლება მიჩნეულ იქნეს საუკეთესო პრაქტიკად.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული

სწავლის შედეგების მისაღწევად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://old.tsu.ge/ • ფოტომასალა (დისტანციურად); • ინვენტარიზაციის აქტი; • ISET-ის ბიბლიოთეკის გვერდი; • ISET-ის ბიბლიოთეკის კატალოგი; • თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი: http://www.sciencelib.ge/ • თსუ ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი: https://www.tsu.ge/en/faculty/345/FACULTY%20OF%20SOCIAL%20AND%20POLITICAL%20SCIENCES/page/Library
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში) • სტუდენტების ტექნიკური აღჭურვილობით (კომპიუტერებით) უზრუნველყოფა დისტანციური სწავლების პროცესში, ასეთი საჭიროების იდენტიფიცირების შემთხვევაში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამისთვის განკუთვნილია ცალკე ბიუჯეტი, რომელიც წარმოადგენს სკოლის მთლიანი ბიუჯეტის ნაწილს. ბიუჯეტი მოიცავს როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების

მუხლებს. შემოსავლები ძირითადად შედგება სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურისაგან, თუმცა სკოლას და პროგრამას ასევე აქვს ყოველწლიურად გარკვეული შემოსავალი სკოლის დამფუძნებელი ამერიკული ორგანიზაციისგან „პარტნიორობა ეკონომიკური განათლებისა და კვლევებისათვის“ – PEER, თსუ-ს და PEER-ს შორის არსებული ხელშეკრულების ფარგლებში PEER-ის ანგარიშზე. ეს არის საქართველოდან და უცხოეთიდან სხვადასხვა კერძო პირების მიერ განხორციელებული შემოწირულობები, რომელთა ჩამონათვალი გამჭვირვალეა და განთავსებულია ISET-ის ვებ – გვერდზე.

შემოსავლების ნაწილში სკოლას უწევს ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ფინანსურად სარისკოა. სწავლის საფასურის 2250 ლარით განსაზღვრისას, შემოსავლები ვერ უზრუნველყოფს ხარჯების მუხლების დაფარვას. აღნიშნულთან დაკავშირებით გაკეთდა ახსნა-განმარტება, რომელიც ასევე თვითშეფასების ანგარიშშიც არის წარმოდგენილი, რომ სკოლა აპირებს პროგრამის აკრედიტაციის მიღების შემდეგ, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 81-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წარადგინოს მიმართვა განათლების სამინისტროში და მთავრობისაგან მოიპოვოს სწავლის საფასურის გაზრდის უფლება, რომელიც იქნება ქართველი სტუდენტებისათვის 3000 აშშ დოლარი, ხოლო უცხოელი სტუდენტებისათვის 4000 აშშ დოლარი. აღნიშნული მოთხოვნა განპირობებულია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ინგლისურენოვანი აკადემიური პერსონალის ჩართულობით, რადგან ინტერვიუს დროს აღინიშნა და პროგრამის ბიუჯეტიდანაც ირკვევა, რომ მათი სახელფასო ანაზღაურება საკმაოდ მაღალია. შესაბამისად აღნიშნული ხარჯების და სხვა საოპერაციო ხარჯების დასაფარად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საფასურის ზრდა. სწავლის საფასურის გაზრდის მოთხვნაზე უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სკოლა მზადაა საკუთარი ბიუჯეტიდან დააფინანსოს აღნიშნული პროგრამა ისე, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდეს შეუფერხებლად.

ბიუჯეტის შემოსავლების მუხლები გათვლილია ყოველწლიურად 40 სტუდენტის მიღებაზე. ხარჯვით მუხლებში გათვალისწინებულია მარკეტინგული და სარეკლამო ხარჯი, რომელიც დაიხარჯება სტუდენტების რაოდენობის მოზიდვის მაჩვენებლის მიღწევაზე. ასევე წარმოდგენილი იყო შრომის ბაზრის კვლევა და ექსპერტთა ვიზიტის განმავლობაში, ინტერვიუ ჩატარდა დამსაქმებლებთან, სადაც დადასტურდა საკმაოდ მაღალი მოთხოვნა ISET-ის სკოლის კურსდამთავრებულებზე, რაც გვაძლევს გონივრული ვარაუდის შესაძლებლობას, რომ აღნიშნული რაოდენობის სტუდენტის მოზიდვა რეალურია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამა არის ფინანსურად მდგრადი და ბიუჯეტით გათვალისწინებული მუხლები ეკონომიკურად მიღწევადი, ვინაიდან სკოლას რეალუარად აქვს აღნიშნული რაოდენობის სტუდენტების მოზიდვის შესაძლებლობა, იმის გათვალისწინებით, რომ შრომის ბაზარი განიცდის პროფესიონალი კადრების ნაკლებობას. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ისეთი დამსაქმებლები როგორიცაა ეროვნული ბანკი, Galt And Taggart და სხვა ფინანსური ინსტიტუტები ადასტურებენ, რომ სკოლის არაერთი კუსდამთავრებული მათი წარმატებული გუნდის წევრია. ფინანსური მდგრადობის კუთხით კი მთავარი გარანტი არის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), ვინაიდან ISET წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რაც ISET–ის სტაბილურობის მნიშვნელოვანი გარანტიაა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • წარმოდგენილი სკოლის ბიუჯეტი; • წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტი; • შრომის ბაზრის კვლევა; • თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ვებ-გვერდი: www.iset.tsu.ge.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შეფასება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა წარმოადგენს ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ანხორციელებს ეკონომიკის მიმართულებით ინგლისურენოვან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებსა და კვლევებს. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, თსუ-ს წესდებისა, ფაკულტეტის დებულების და თავისი დამფუძნებლების („პარტნიორობა ეკონომიკური განათლებისა და კვლევისათვის“) PEER-ის დებულების შესაბამისად. უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამდგენ დოკუმენტებთან ერთად, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში (შემდგომში - აისეტი) მოქმედებს დოკუმენტი ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების შესახებ. დოკუმენტი შეესაბამება უნივერსიტეტში მოქმედ შიდა რეგულაციას „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესს“. ამასთან, აღნიშნული ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის თანახმად, აისეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურა გულისხმობს სწავლა-სწავლებისა და კვლევების მუდმივ შეფასებას, ორგანიზაციის საქმიანობის შესაბამისობას მის მთავარ მისიასთან. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ხორციელდება ხუთი მიმართულებით: სტუდენტების, ფაკულტეტის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და მესამე პირების (იგულისხმება გარე შემფასებლები, სადაც შედის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ასევე Foundation for International Business Administration Accreditation (FIBAA), რომლის აკრედიტაციაც ასევე მიღებული აქვს აისეტის პროგრამებს) მიერ. დოკუმენტით დადგენილია პროცედურა თითოეულ შემფასებელთა კატეგორიის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნებისათვის, შემუშავებულია შესაბამისი შეფასების ფორმები. უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი. აღნიშნული წესით გათვალისწინებული პროგრამის შეფასების პრინციპები ასევე გათვალისწინებულია აისეტის ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურის დოკუმენტში. აკრედიტაციის ვიზიტის დროს გამართული ინტერვიუების შედეგად, დგინდება, რომ

პროგრამის განმახორციელებლად მოაზრებული პერსონალი ჩართული იყო სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებაში, აღნიშნული პირები, ამავდროულად ჩართულები არიან მომიჯნავე პროგრამის განხორციელებაშიც. ამასთან, ინტერვიუს შედეგების თანახმად, ისინი მუდმივად იღებენ უკუკავშირს პროგრამისა და მათი შეფასების თაობაზე სტუდენტებისა თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამოკითხვების შედეგების მიხედვით. აისეტის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის თანახმად, სტუდენტები ახორციელებენ სასწავლო კომპონენტების, კომპონენტთა სტრუქტურის და ლექტორებისა და ასისტენტების მიერ სწავლების პროცესის შეფასებას. შეფასება ხორციელდება თითოეული სასწავლო კომპონენტის დასრულებამდე ერთი კვირით ადრე, დასკვნითი გამოცდების ეტაპამდე. შეფასება ხორციელდება და ამასთან, შესაბამისი შედეგები ლექტორებს მიეწოდებათ მათ მიერ სტუდენტების საგამოცდო შეფასებების დაწერის შემდგომ. გამოკითხვების შედეგები ანალიზისათვის ასევე ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც მისი შესწავლის შემდგომ, სათანადო რეკომენდაციებს წარუდგენს აისეტის დირექტორს, საჭიროების შემთხვევაში. აღნიშნული რეკომენდაციები განსახილველად ეგზავნება აკადემიურ საბჭოსა და აკადემიურ კომიტეტს.

აღსანიშნავია, რომ აისეტში მოქმედებს სტრატეგიის დოკუმენტი (Objectives, Goals, Strategies and Measures - OGSM), რომელიც ადგენს, რომ თუკი სტუდენტების გამოკითხვების საფუძველზე, ლექტორთა შეფასება 3.5-ზე ნაკლებია, იგი გადის სავალდებულო ტრენინგს სწავლების მეთოდებში. ამ შეფასების შედეგებზეა დამოკიდებული ასევე ლექტორთათვის ხელშეკრულებების გაგრძელების საკითხი. ამასთან, როგორც ინტერვიუს დროს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, მსგავს შემთხვევებს ხშირი ხასიათი არ აქვს, თუმცა ზემოხსენებულ ტრენინგზე ლექტორების გაგზავნის პრეცედენტი პრაქტიკაში არსებობს.

გარდა აღნიშნულისა, ასევე ხორციელდება სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა სასწავლო პროცესთან, მატერიალურ რესურსებთან, ადმინისტრირებასთან, სოციალურ გარემოსთან დაკავშირებით და სხვა.

აისეტი ასევე ახორციელებს პერსონალის კმაყოფილების კვლევას, დადგენილი პერიოდულობით, რომლის შედეგები განიხილება ასიეტის დირექტორის მიერ.

ინტერვიუს შედეგები ცხადყოფს, რომ ერთის მხრივ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად მუდმივად ითვალისწინებენ და განიხილავენ შეფასების შედეგებს, ხოლო სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, საკუთარი სურვილები, მოთხოვნები თუ პრეტენზიები წარუდგინონ ადმინისტრაციასა და პასუხისმგებელ პირებს დაბრკოლების გარეშე. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს პროცესში მიღებული განმარტებებით, დგინდება, რომ აისეტის პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის, გამოიყენება უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამდგენი დოკუმენტები, შესაბამისი პროცედურებით. თუმცა თავად ამ სტრუქტურული ერთეულის სპეციფიურობიდან გამომდინარე, მისი ორგანიზაციული მოწყობისა და

დასაქმებული აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალის გათვალისწინებით, ასევე შემუშავებულია სკოლის დამატებითი შიდა დოკუმენტაცია სპეციფიურად აისეტის პროგრამებისათვის დადგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების განსაზღვრის მიზნით. აღნიშნული წარმოადგენს იმ ფაქტის ლოგიკურ გაგრძელებას, რომ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა დაფუძნდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, საერთაშორისო პარტნიორებისა და დონორი ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით, რომლებიც დღემდე მონაწილეობენ აისეტის ფუნქციონირებაში. შესაბამისად, მათ წინაშე არსებული ვალდებულებების (მათ შორის, ფინანსური) შესრულებისა თუ გამოწვევების დაძლევისათვის, სკოლა მენეჯმენტს წარუდგენს დამატებით მტკიცებულებებს მისი მისიისა და ფუნქციების იმგვარად განხორციელების თაობაზე, როგორც ეს სადამფუძნებლო ხელშეკრულებითაა განსაზღვრული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვიშეფასების ანგარიში; • სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების შესახებ; • საერთაშორისო ეკონომიკური სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურის შესახებ დოკუმენტი; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; • ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის დებულება; • საერთაშორისო ეკონომიკური სკოლის დაფუძნების შესახებ ხელშეკრულება; • საერთაშორისო ეკონომიკური სკოლის სტრატეგიის დოკუმენტი; • ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აისეტი ხარისხის გარე შეფასების კომპონენტს ინტენსიურად იყენებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნებისათვის. აღნიშნული მოიაზრებს პროგრამის შეფასებას კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების მიერ. აისეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს ასევე მოპოვებული აქვს გერმანული სააკრედიტაციო სააგენტოს - Foundation for International Business Administration Accreditation-ის (FIBAA) საერთაშორისო აკრედიტაცია.[1] ამასთან, როგორც აღნიშნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზეა მითითებული, იგი ახორციელებს აკრედიტაციას გერმანული აკრედიტაციის საბჭოს სტანდარტების მიხედვით და ანიჭებს ხარისხის ბეჭედს როგორც ინსტიტუციებს, ისე პროგრამებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მისი საქმიანობა ემყარება ნაციონალურ და საერთაშორისო მოთხოვნებსა და სტანდარტებს, განსაკუთრებული ყურადღება კი ეთმობა ევროპულ სტანდარტებს (ESG).[2] ამასთან, როგორც თვითშეფასებაშია აღნიშნული და ინტერვიუს პროცესშიც ხაზი გაესვა, აისეტი გეგმავს განხორციელების დაწყებიდან ორი წლის შემდგომ, ასევე მიმართოს FIBAA -ს შესაბამისი პროცედურების დაცვით, საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად ფინანსების ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზეც. თუმცა სხვა პროგრამების აკრედიტაციის ფარგლებში აღნიშნული სააგენტოდან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე, აისეტმა წინმსწრებად, ფინანსების სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისას გაითვალისწინა მათი ზოგადი რეკომენდაციები, როგორიცაა სტუდენტების უფრო მეტი ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ეთიკის სტანდარტების გაღრმავება, ასევე სასწავლო კომპონენტებთან დაკავშირებული რიგი რეკომენდაციები. პროგრამა შემუშავების ეტაპზე ასევე წარედგინა შეფასებისათვის გარე ექსპერტს, რომლის მიერ ძირითადად დადებითად იქნა შეფასებული ფინანსების სამაგისტრო საგანამნათლებლო პროგრამა. მის მიერ გაცემულ იქნა გარკვეული რეკომენდაციებიც, მაგალითად პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით, Capstone პროექტის ფარგლებში შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების სრულყოფასთან დაკავშირებით და ა.შ., რომელიც ასევე გათვალისწინებულ იქნა პროგრამის დაგეგმვისა და საბოლოოდ შემუშავების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტები, მათ შორის, საერთაშორისო აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ექსპერტის

[1] *ob. https://static.fibaa.org/berichte/progakkred_k2h/B_Ivane_Javakhishvili__3125_KB.pdf*

[2] *ob. https://www.fibaa.org/en/fibaa/about-us/mission-vision/*

გარე შეფასება; • ინტერვიუს შედეგები; • FIBAA - ს ოფიციალური ვებ-გვერდი: https://www.fibaa.org/.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აისეტს, გარდა ზოგადი საუნივერსიტეტო სტრატეგიისა, შემუშავებული აქვს დამატებით სტრატეგიის დოკუმენტი, სადაც გაწერილია მიზანი, ამ მიზნის მიღწევის სტრატეგიული გზა და მიღწევადობის გასაზომად საჭირო ინდიკატორები. თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუს დროს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, აისეტი მუდმივად ახორციელებს აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით როგორც აკადემიური პროგრამების, ისე სკოლის მუშაობის მონიტორინგსა და შეფასებას. ამასთან, პროგრამის შეფასება მუდმივად ხორციელდება კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობით. ამ ჯგუფის გამოკითხვებისათვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სპეციალური კითხვარები. ამასთან, როგორც აისეტის ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურის დოკუმენტი ადგენს, კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამების შეფასების მიზანია, მუდმივად უზრუნველყოფილი იყოს პროგრამების შესაბამისობა დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან. ამ შეფასებებით კურსდამთავრებულებისგან მიიღება ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით, რაზეც შემდგომ სკოლამ უნდა მოახდინოს საჭირო ღონისძიებების გატარება პროგრამის

გაუმჯობესების მიზნით. კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამების შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ.

დამსაქმებელთა მიერ პროგრამის შეფასების მიზანია იმ უნარებისა და ცოდნის იდენტიფიცირება, რაც სჭირდება დასაქმების ბაზარს, ასევე დგინდება, რამდენად იძლევა პროგრამის კურიკულუმი ამ მოთხოვნების შესრულების საშუალებას და აისეტი ამზადებს თუ არა კურსდამთავრებულებს იმგვარად, რომ დააკმაყოფილონ დასაქმების ბაზრის მოთხოვნები. დამსაქმებელთა მიერ პროგრამის შეფასება ხორციელდება ორ წელიწადში ერთხელ. ამასთან, დადგენილია ამ შეფასებების შედეგებზე დაყრდნობით განსახორციელებელი ღონისძიებები.

ინტერვიუს შედეგებმა ცხადყო დამსაქმებელთა აქტიური ჩართულობა და მონაწილეობა პროგრამების განხორციელების პროცესში. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ ახალ პროგრამას დამსაქმებლები ნაკლებად იცნობდნენ, მხოლოდ რამდენიმე მათგანმა დაადასტურა ჩართულობა, თუმცა სხვა პროგრამების ნაწილში იკვეთება მათი აქტიური მონაწილეობა მონიტორინგის მიზნით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლების ნაწილი იმავდროულად თავადაც აისეტის კურსდამთავრებულები არიან. შესაბამისად, ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მათი არა მხოლოდ ფორმალური დაინტერესება აისეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებულად განხორციელების ჭრილში. ამდენად, მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამის კურიკულუმში სასწავლო კომპონენტების დამატებაც კი განხორციელებულა.

დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული შეფასებისა და მონიტორინგის საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამაში ჩართულ პირებთან ერთად განიხილავს მიღებულ შედეგებს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუმ გამოკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიურ პერსონალს მათი შეფასებების საფუძველზე სასწავლო კომპონენტებში ცვლილებები შეაქვთ, საჭიროების შემთხვევაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური როგორც დოკუმენტურად, ისე ინტერვიუების საფუძველზე ადასტურებს ახალი საგანმანათლებლო პრორგამის შემუშავების პროცესში აქტიურ ჩართულობას. თუმცა ქვესტანდარტთან „2.6 სტუდენტების შეფასება“ პროგრამის შესაბამისაობის შეფასების პროცესში გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე გვსურს აღვნიშნოთ, რომ სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამისა და სილაბუსების შეფასების ეტაპზე გაიცეს რეკომენდაციები პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებელი პერსონალის მიმართ ზედმეტად სტანდარტიზებულ შეფასების მიდგომებსა და მეთოდებთან დაკავშირებით, რათა მოხდეს მათი მეტად დივერსიფიცირება, სასწავლო კურსების შედეგებზე მეტად მორგება და სტუდენტის უნარების შეფასების მიზნით უფრო სათანადო მეთოდების გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ შეფასებებისა და მონაცემების შეგროვების პროცედურები მთლიანობაში აისეტში ქმნის ერთიან სისტემას ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლის ფუნქციონირებისა და

პროგრამების განხორციელებისათვის, ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების პრაქტიკაში განხორციელება ემორჩილება დამკვიდრებულ კულტურასა და მთლიანი სისტემის მუშაობას და არ არის დამოკიდებული კონკრეტული ინდივიდების სუბიექტურ გადაწყვეტილებებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაცია; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები • რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამისა და სილაბუსების შეფასების ეტაპზე გაიცეს რეკომენდაციები ზედმეტად სტანდარტიზებულ შეფასების მიდგომებსა და მეთოდებთან დაკავშირებით, რათა მოხდეს სასწავლო კურსების შედეგებზე მეტად მორგება და სტუდენტის უნარების შეფასების მიზნით უფრო სათანადო მეთოდების გამოყენება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 53 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სოფიო ხუნდაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა



რომან მამულაძე

სოფიო უგრეხელიძე

ნინო ლაცოშვილი

ზურაბ ჯანხოთელი